1970/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 12 (359)

1970 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 12 (359) დეკემბერი 1970 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად დანიშვნისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. გ. რთველიაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

202. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში.

### საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

203. საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი.

204. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

205. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

206. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა აჭარის ასსრ [illegible] რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 21-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე.

207. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შექმნის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნის და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

208. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

209. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

210. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

211. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

212. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

213. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის წევრითა გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

214. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

215. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

216. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

## განყოფილება მეორე

217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომხეთის სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. გ. სევაკისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. პ. გეგეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. დოლაბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. იამანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. გ. ხმალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საინფორმაციო ცნობა.

ანბანურ-საგნობრივი საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**197** **ამხ. ლ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ლევან აბოს ძე **საყვარელიძე** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 2 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**198** **ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ გაბრიელის ძე **ბოჭორიშვილი** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 2 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**199** **საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ მეურნეობებისა და ორგანიზაციების სია, რომლებიც გადაეცემა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გამგებლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 15 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 200 ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად დანიშვნისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ბაგრატის ძე **ღვინჯილია** საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად და გათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 30 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 201 ამხ. ი. გ. რთველიაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. იოსებ გიორგის ძე **რთველიაშვილი** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 30 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 202 „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების შესასრულებლად ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. გაფართოვდა და განმტკიცდა ამ დაწესებულებათა ბაზა. ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში დამატებით გაიხსნა ხუთ-ხუთი საბავშვო ბაღი. ბაგა-ბაღების მშენებლობაში მონაწილეობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. საბავშვო ბაღის შენობები ააშენეს ლაგოდეხის რაიონის არეშფერანის, ნინიგორის და ლელიანის კოლმეურნეობებმა, მარნეულის რაიონში — სადახლოს მეთამბაქოეობის, ალგეთის მერძევეობა-მებოსტნეობის და ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობებმა. არსებითად გაუმჯობესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის და სამედიცინო მომსახურების დონე. ბაგა-ბაღების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ლაგოდეხის რაიონში ჩამოყალიბებულია მეთოდური სექციები, სადაც თვეში ერთხელ ისმენენ აღმზრდელების ინფორმაციებს ბავშვთა აღზრდის სხვადასხვა საკითხებზე, ეწყობა მუშაობის მოწინავე მეთოდების გამოცდილების განზოგადება. ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობა სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობისადმი, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა თავიანთ სხდომებზე რეგულარულად ისმენს მათი მუშაობის ცალკეულ საკითხებს და ატარებს შესაფერ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ამასთან ერთად, ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანია. სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების ტემპი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ლაგოდეხის რაიონში სკოლამდელ ბავშვთა ასაკის მხოლოდ 19,5 პროცენტია ჩაბმული საბავშვო ბაგებში და ბაღებში, მარნეულის რაიონში კი — 12,2 პროცენტი.

სკოლამდელ დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული, დროულად არ ტარდება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. ქალაქ ლაგოდეხის № 3 საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 1969 წლის სექტემბრამდე, დღემდე დაუმთავრებელია, ხოლო საბავშვო ბაღის არსებული შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. ამავე რაიონის ცოდნისკარის საბავშვო ბაღის შენობის გასაფართოებლად გასულ

წელს დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, რაც დღემდე დაუმთავრებელია; გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ ვარდისუბნის, შრომის, ბარისუბნის და აფენის საბავშვო ბაღები. ფერხდება სკოლამდელ დაწესებულებათა მომარაგება საჭირო რაოდენობის პროდუქტებით და განსაკუთრებით ხილითა და ბოსტნეულით. მათ სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევს ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის რაიონში სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა სრულიად შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული, საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს, არ აქვს საკმარისი რაოდენობით რბილი და მაგარი ინვენტარი, სათამაშოები, დარღვეულია სანიტარული წესები და დაბალია აღმზრდელთა კვალიფიკაცია, მარნეულის საქალაქო, შულავერის, ყარაჯალის, კაპანახჩის, ხოჯორნის და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოებს, როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, ერთხელაც არ შეუმოწმებიათ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები და არ მიუღიათ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას უყურადღებოდ ეკიდებიან ადგილობრივი საბჭოების სახალხო განათლების და კულტურის მუდმივი კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშვო ბაღებისა და ბაგების მატერიალური ბაზის შემდგომ გაფართოებას, დროულად ჩაატარონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, სკოლამდელი დაწესებულებები მოამარაგონ ინვენტარით, მოწყობილობითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით, გააუმჯობესონ აღსაზრდელთა მოვლა, კვება, აგრეთვე მათი სამედიცინო-სანიტარიული მომსახურება.

2. განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა შეამოწმონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მიიღონ ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა მოსამარაგებლად საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი პროდუქტით, განსაკუთრებით ხილითა და ბოსტნეულით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების შესრულების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში გამოსასწორებლად.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა მიიღონ ზომები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელის გასაფართოებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

## საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 203 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

| | (მატება პროცენტობით 1970 წელთან შედარებით) |
|---|---|
| საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქცია . . . . . . . | 6 პროცენტი |
| მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა . . . . . . . . . . . . | 8,2 პროცენტი |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . . . . . . . | 11,6 პროცენტი |
| მათ შორის, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც უშუალოდ გამოყოფილი აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს . . . . . . | 12,4 პროცენტი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტვირთბრუნვა . 7,7 პროცენტი

მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი (მშენებლობის, საპროექტო ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საკოლმეურნეობათაშორისო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების გამოკლებით) . . . . . . . . . 6,5 პროცენტი

მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სამრეწველო საქმიანობიდან . . . . 17,9 პროცენტი

**მუხლი 3.** გადიდდეს 1971 წელს 1970 წელთან შედარებით:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა . . . . . . . . . 8,7 პროცენტით

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება . . 15,4 პროცენტით

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა . . . . . . . . . 11,3 პროცენტით

ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში . . . 3,2 პროცენტით

მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში . . . . . . . . . 13,3 პროცენტით

მოსწავლეთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში . . 0,8 პროცენტით

მოსწავლეთა მიღება საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში . . . . . . . . . . . 2,1 პროცენტით

საავადმყოფო საწოლების რაოდენობა . . . . 3,7 პროცენტით

**მუხლი 4.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

## 204 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 1.345.927 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.345.927 ათასი მანეთი და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1972 წლის 1 იანვრისათვის 51.358 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.188.615 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 548.911 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 745.874 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 147.907 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 25.501 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1971 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.266.729 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 878.584 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 388.145 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1972 წლის 1 იანვრისათვის 30.706 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1971 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1972 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . | 49534.6 | 40285.1 | | 49534.6 | 2465 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . . | 35739.4 | 29626.1 | | 35739.4 | 1777 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . | 16422.1 | 9992.1 | 4787.4 | 16422.1 | 815 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . | 127619.9 | 95291.5 | | 127619.9 | 3813 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . | 13927.7 | 7824.9 | | 13927.7 | 691 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . | 3883.1 | 2931.7 | | 3883.1 | 191 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . | 5646.8 | 5180.4 | | 5646.8 | 280 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . | 10454.3 | 8891.7 | | 10454.3 | 518 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . | 4674.1 | 3304.1 | | 4674.1 | 232 |
| 10. ქალაქი ტყიბული . . . . | 3978.8 | 3520.7 | | 3978.8 | 197 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი . . . . | 3853.7 | 3365.4 | | 3853.7 | 191 |
| 12. აბაშის რაიონი . . . . . | 2539.2 | 2206.6 | | 2539.2 | 125 |
| 13. ადიგენის რაიონი . . . . | 2029.9 | 1944.0 | | 2029.9 | 100 |
| 14. ამბროლაურის რაიონი . . | 2734.0 | 2537.7 | | 2734.0 | 134 |
| 15. ასპინძის რაიონი . . . . . | 2032.6 | 1476.5 | 470.6 | 2032.6 | 100 |
| 16. ახალქალაქის რაიონი . . . | 5169.5 | 4821.6 | | 5169.5 | 256 |
| 17. ახალციხის რაიონი . . . . | 4693.8 | 4289.1 | | 4693.8 | 233 |
| 18. ახმეტის რაიონი . . . . . | 3559.8 | 3287.6 | | 3559.8 | 176 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი . . . | 3321.7 | 3175.4 | | 3321.7 | 165 |
| 20. ბოლნისის რაიონი . . . . | 4220.7 | 3962.7 | | 4220.7 | 210 |
| 21. ბორჯომის რაიონი . . . | 3203.9 | 2785.2 | | 3203.9 | 157 |
| 22. გარდაბნის რაიონი . . . . | 7324.1 | 6573.6 | | 7324.1 | 364 |

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | [illegible] 1972 წლის [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 4370.3 | 4102.3 | | 4370.3 | 217 |
| 24. გორის რაიონი | 5047.2 | 4571.4 | | 5047.2 | 250 |
| 25. გურჯაანის რაიონი | 4989.5 | 4225.0 | | 4989.5 | 247 |
| 26. დმანისის რაიონი | 3210.7 | 3021.0 | | 3210.7 | 159 |
| 27. დუშეთის რაიონი | 3588.6 | 3285 5 | | 3588 6 | 177 |
| 28. ვანის რაიონი | 3224.3 | 2945.7 | | 3224.3 | 159 |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 5153.2 | 4566.0 | | 5153.2 | 256 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 5512.0 | 5117.7 | | 5512.0 | 274 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 3336.7 | 2862.7 | | 3336.7 | 165 |
| 32. თელავის რაიონი | 5554.5 | 5056.9 | | 5554.5 | 276 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 3049.9 | 2708.3 | | 3049.9 | 151 |
| 34. თიანეთის რაიონი | 2413.8 | 2266.3 | | 2413.8 | 119 |
| 35. კასპის რაიონი | 3748.0 | 3298.6 | | 3748.0 | 186 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 3984.7 | 3615.2 | | 3984 7 | 197 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 3515.5 | 3243.5 | | 3515 5 | 174 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 2077.7 | 1304.1 | 684.6 | 2077.7 | 103 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 2977.2 | 2614.8 | | 2977.2 | 147 |
| 40. მარნეულის რაიონი | 6267.7 | 5547.9 | | 6267.7 | 311 |
| 41. მახარაძის რაიონი | 5977.1 | 5325.8 | | 5977.1 | 296 |
| 42. მესტიის რაიონი | 2509.0 | 1549.4 | 891.7 | 2509.0 | 124 |
| 43. მცხეთის რაიონი | 3234.3 | 2785.7 | | 3234.3 | 160 |
| 44. ონის რაიონი | 2288.2 | 2154.4 | | 2288.2 | 112 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 3206.9 | 2950.2 | | 3206.9 | 158 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 2994.5 | 2777.1 | | 2994.5 | 148 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 4463.7 | 3777.0 | | 4463.7 | 221 |
| 48. საჩხერის რაიონი | 3512.8 | 3060.7 | | 3512.8 | 174 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 3917·6 | 3405.2 | | 3917.6 | 194 |
| 50. ქარელის რაიონი | 3454.3 | 3104.3 | | 3454.3 | 171 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 1349.9 | 1066.3 | 224.1 | 1349.9 | 66 |
| 52. ყვარლის რაიონი | 3283.5 | 2976.8 | | 3283.5 | 162 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 2857.3 | 2660.4 | | 2857.3 | 141 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 3265.3 | 3081.3 | | 3265.3 | 162 |
| 55. ცაგერის რაიონი | 2431.6 | 2280.0 | | 2431.6 | 120 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 4394.3 | 3872.1 | | 4394.3 | 218 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 3756.5 | 3542.4 | | 3756.5 | 186 |
| 58. წალკის რაიონი | 4247.7 | 3964.9 | | 4247.7 | 211 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 3036.7 | 2672.7 | | 3036.7 | 150 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 3421.6 | 3068.9 | | 3421 6 | 169 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 4388.2 | 3439.6 | | 4388.2 | 217 |
| 62. ხაშურის რაიონი | 3953.3 | 3357.3 | | 3953.3 | 195 |
| 63. ხობის რაიონი | 2813.5 | 2587.5 | | 2813.5 | 139 |
| სულ | 467343,0 | 381086.6 | 7058.4 | 467343.0 | 20652 |

მუხლი 8. დამტკიცდეს 1971 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში, შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა ინდივიდუალური დაზღვევის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ანგარიშში მუშაკთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . . | 20 | 98 | 50.1 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . . . | 41 | 63 | 43.9 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . | 100 | 100 | 100.0 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . . | 15 | 65 | 18.5 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . . | 19 | 77 | 7.6 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . . . | 27 | 100 | 48.9 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . | 50 | 100 | 73.7 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . . . | 60 | 100 | 97.2 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . . . | 50 | 100 | 31.2 |
| 10. ქალაქი ტყიბული . . . . . . . . | 50 | 100 | 49.0 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი . . . . . . . . | 50 | 100 | 40.3 |
| 12. აბაშის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 67.6 |
| 13. ადიგენის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 88.5 |
| 14. ამბროლაურის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 66.1 |
| 15. ასპინძის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100.0 |
| 16. ახალქალაქის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 68.9 |
| 17. ახალციხის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 71.4 |
| 18. ახმეტის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 75.6 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 59.6 |
| 20. ბოლნისის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 36.2 |
| 21. ბორჯომის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 28.2 |
| 22. გარდაბნის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 4.9 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 62.4 |
| 24. გორის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 38.2 |

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშე-მოსავლო გადასახა-დიდან | სსრკ უცოლო, უქ-მრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადა-სახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 25. გურჯაანის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 70.0 |
| 26. დმანისის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 87.1 |
| 27. დუშეთის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 78.6 |
| 28. ვანის რაიონი . . . . . . . . . | 50 | 100 | 66.0 |
| 29. ზესტაფონის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 42.1 |
| 30. ზუგდიდის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 88.3 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 75.4 |
| 32. თელავის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 62.8 |
| 33. თერჯოლის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 56.5 |
| 34. თიანეთის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 85.5 |
| 35. კასპის რაიონი . . . . . . . . . | 50 | 100 | 18.9 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 44.3 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 82.6 |
| 38. ლენტეხის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100.0 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 50.7 |
| 40. მარნეულის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 67.8 |
| 41. მახარაძის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 48.1 |
| 42. მესტიის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100.0 |
| 43. მცხეთის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 73.0 |
| 44. ონის რაიონი . . . . . . . . . | 50 | 100 | 71.9 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 68.6 |
| 46. საგარეჯოს რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 76.0 |
| 47. სამტრედიის რაიონი . . . . . . | 40 | 100 | 16.7 |
| 48. საჩხერის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 68.0 |
| 49. სიღნაღის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 74.2 |
| 50. ქარელის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 15.7 |
| 51. ყაზბეგის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100.0 |
| 52. ყვარლის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 44.5 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 73.0 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 74,4 |
| 55. ცაგერის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 86.6 |
| 56. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 27.6 |
| 57. წალენჯიხის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 58.2 |
| 58. წალკის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 83.8 |
| 59. წითელწყაროს რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 77.3 |
| 60. წულუკიძის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 71.0 |
| 61. წყალტუბოს რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 42.7 |
| 62. ხაშურის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 67.6 |
| 63. ხობის რაიონი . . . . . . . . . | 50 | 100 | 65.0 |

**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

| | (პროცენტებში) |
|---|---|
| ქალაქი ჭიათურა | 20 |
| ქალაქი ტყიბული | 7 |
| აბაშის რაიონი | 13 |
| ადიგენის რაიონი | 32 |
| ამბროლაურის რაიონი | 19 |
| ასპინძის რაიონი | 30 |
| ახალქალაქის რაიონი | 15 |
| ახალციხის რაიონი | 22 |
| ახმეტის რაიონი | 20 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 20 |
| ბოლნისის რაიონი | 23 |
| ბორჯომის რაიონი | 3 |
| გარდაბნის რაიონი | 4 |
| გეგეჭკორის რაიონი | 22 |
| გორის რაიონი | 4 |
| გურჯაანის რაიონი | 3 |
| დმანისის რაიონი | 26 |
| დუშეთის რაიონი | 19 |
| ვანის რაიონი | 7 |
| ზესტაფონის რაიონი | 3 |
| ზუგდიდის რაიონი | 18 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 14 |
| თელავის რაიონი | 11 |
| თერჯოლის რაიონი | 5 |
| თიანეთის რაიონი | 25 |
| კასპის რაიონი | 6 |
| ლაგოდეხის რაიონი | 2 |

| | (პროცენტებში) |
|---|---|
| ლანჩხუთის რაიონი | 12 |
| ლენტეხის რაიონი | 30 |
| მაიაკოვსკის რაიონი | 20 |
| მარნეულის რაიონი | 5 |
| მახარაძის რაიონი | 3 |
| მესტიის რაიონი | 30 |
| მცხეთის რაიონი | 5 |
| ონის რაიონი | 22 |
| ორჯონიკიძის რაიონი | 15 |
| საგარეჯოს რაიონი | 13 |
| სამტრედიის რაიონი | 3 |
| საჩხერის რაიონი | 13 |
| სიღნაღის რაიონი | 3 |
| ქარელის რაიონი | 8 |
| ყაზბეგის რაიონი | 30 |
| ყვარლის რაიონი | 14 |
| ჩოხატაურის რაიონი | 16 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 25 |
| ცაგერის რაიონი | 26 |
| ცხაკაიას რაიონი | 5 |
| წალენჯიხის რაიონი | 22 |
| წალკის რაიონი | 24 |
| წითელწყაროს რაიონი | 3 |
| წულუკიძის რაიონი | 17 |
| წყალტუბოს რაიონი | 5 |
| ხაშურის რაიონი | 6 |
| ხობის რაიონი | 15 |

**მუხლი 10.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 205 საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.340.124 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 1.305.721 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 34.403 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

1/1363

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 206 აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 21-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება „აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ“

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 21-ე მუხლში: ამოღებული იქნას სიტყვა „ბათუმის“ და სიტყვის „შუახევის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ხელვაჩაურის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**207** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შექმნის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნის და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 5 აგვისტოსი—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების შესახებ“.

1970 წლის 23 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

1970 წლის 2 ოქტომბრისა—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

1970 წლის 15 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში.

50-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“. ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი“.

55-ე მუხლში სიტყვის „მშენებლობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საბჭოთა მეურნეობების“ და სიტყვის „თავდაცვის“ შემდეგ — „იუსტიციის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 208 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 30 ივნისისა—„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1970 წლის 20 აგვისტოსი—„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1970 წლის 25 სექტემბრისა—„შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“;

1970 წლის 27 ნოემბრისა—„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 209 „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**210** „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**211** „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

**212** „მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**213** საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა განთავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 31 ივლისისა „ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1970 წლის 12 ოქტომბრისა „ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1970 წლის 2 დეკემბრისა „ამხ. ლ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1970 წლის 2 დეკემბრისა „ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 214 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 4 ნოემბრისა — „ამხ. ს. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1970 წლის 23 ნოემბრის—„ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 215 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. სერგო იასონის ძე ქაჯაია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ;

არჩეულ იქნეს ამხ. თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 216 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შოთა ილარიონის ძე ჭანუყვაძის, ნიკოლოზ შიოს ძე ცხაკაიას, ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილის რწმუნებანი, რომლებიც არჩეული არიან, შესაბამისად, გორის რაიონის კარალეთის საარჩევნო ოლქში, ქარელის რაიონის აგარის საარჩევნო ოლქში, ცხაკაიას რაიონის ნოსირის საარჩევნო ოლქში, 1970 წლის 15 ნოემბერს.

თბილისი, 1970 წლის 22 დეკემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 217 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:**

შჩელოკოვი ნიკოლოზ ანისიმეს ძე.

კრილოვი სერგეი მიხეილის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1970 წლის 22 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 218 თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დაარსების ასოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:**

ვალენტინა ნიკოლოზის ასულ **ზახაროვას** — მსახიობს.

იგორ ივანეს ძე **ზლობინს** — მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძეს** — მთავარ რეჟისორს.
ივანე ნიკოლოზის ძე **რუსინოვს** — მსახიობს.
ნადეჟდა სიმონის ასულ **სპერანსკაიას** — მსახიობს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:**

მიხეილ სიმონის ძე **იოფეს** — მსახიობს.
ლარისა დიმიტრის ასულ **კრილოვას** — მსახიობს.
ანატოლ მიხეილის ძე **ლევინს** — მსახიობს.
გალინა ალექსანდრეს ასულ **პრიაჟნიკოვას** — მსახიობს.

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:**

გაიკ სერგოს ძე **გევენიანს** — თეატრის დირექტორის მოადგილეს.
ოლღა მიხეილის ასულ **ვოზნესენსკაიას** — მოკარნახეს.
ქნარიკ სარქისის ასულ **პაპაიანს** — უფროს გრიმიორ-მხატვარს.
ნინო გრიგოლის ასულ **პლოტნიკოვას** — დასის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1970 წლის 17 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 219 საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:**

ნინო გრიგოლის ასულ **აბაკელიას** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

ქსენია გრიგოლის ასულ **აბაკელიას** — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

სათიკ არსენის ასულ **აბაჯიანს** — ახალქალაქის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრა სიმონის ასულ **აბდუშელიშვილს** — ფოთის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერვანდ ბოგდანის ძე **აზოვიანს** — თბილისის მე-80 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ირინე პავლეს ასულ **აბრამოვას** — თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელს.

კონსტანტინე დომენტის ძე **აბუთიძეს** — ამბროლაურის რაიონის ბუგეულის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შალვა ილიას ძე **ავალიანს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მეთოდური კაბინეტის გამგეს.

ნინო სიმონის ასულ **ათანელიშვილს** — თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელს.

ბაშირ გასან ოღლი **ალიევს** — მარნეულის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს.

მელანია გიორგის ასულ **ანთელავას** — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თინა კორნელის ასულ **ასათიანს** — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

ნიკოლოზ გიორგის ძე **აფრიდონიძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის შრომითი სწავლების მეთოდური კაბინეტის გამგეს.

ეკატერინე სიმონის ასულ **ბაბლიძეს** — პენსიონერს.

ნინო გრიგოლის ასულ **ბადაშვილს** — გორის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ზარარ იბრაგიმ ოღლი **ბაირამოვს** — დმანისის რაიონის ქვემო ყარაბულახის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

აშოტ ტიგრანის ძე **ბალასანოვს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის მასწავლებელს.

აბესალომ გრიგოლის ძე **ბალხამიშვილს** — დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

